ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №39

2014 წლის 21 ნოემბერი

ქ. ხობი

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტისა, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 და 25-ე მუხლებისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ (დანართი 1).

მუხლი 2

დამტკიცდეს თანდართული „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ (დანართი 2).

მუხლი 3

ამ დადგენილებით განსაზღვრული დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები გავრცელდეს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში დასაქმებულ, ატესტაციას დაქვემდებარებულ მოხელეებზე, დაკავებულ თანამდებობათა შესაბამისად.

მუხლი 4

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატსა და გამგეობაში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 მაისის N12 დადგენილება.

მუხლი 5

დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2014 წლის 21 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ხობის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ედიშერ ჯობავა**

დანართი 1

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

თავი I
ზოგადი მოთხოვნები

მუხლი 1. სავალდებულო მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად პირს მოეთხოვება „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის ტესტირების ეტაპების ჩატარების მეთოდიკის, თემატიკისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2014 წლის 10 სექტემბრის №73/სა ბრძანებით ტესტირებისთვის გათვალისწინებული შემდეგი თემატიკის სამართლებრივი აქტებისა და საკითხების ცოდნა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

გ) ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“;

დ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

ე) საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;
ვ) უნარ-ჩვევები.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თემატიკით ჩასატარებელი ტესტირების ფარგლებში, ტესტირების ეტაპის მინიმალური გამსვლელი ზღვარი პირისთვის დადგენილია არანაკლებ 52%-ის ოდენობით (32 სწორი პასუხი 60 ტესტური დავალებიდან).

მუხლი 2. მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად

ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი მუხლით გათვალისწინებული საკითხების ცოდნისა, პირს მოეთხოვება:
ა) უმაღლესი, ან საშუალო სპეციალური განათლება;
ბ) სასურველია მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;
გ) გამართული წერისა და მეტყველების უნარი;
დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის კარგ დონეზე ცოდნა.

მუხლი 3. მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი მუხლით გათვალისწინებული საკითხების ცოდნისა, პირს მოეთხოვება:
ა) უმაღლესი განათლება (სასურველია, შესაბამისი სამსახურის დებულებით განყოფილების კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში);
ბ) მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება (სასურველია, საპასუხისმგებლო თანამდებობაზე);
გ) გამართული წერისა და მეტყველების უნარი;
დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის კარგ დონეზე ცოდნა.

მუხლი 4. მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი მუხლით გათვალისწინებული საკითხების ცოდნისა, პირს მოეთხოვება:
ა) უმაღლესი განათლება;
ბ) საჯარო სამსახურში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;
გ) გამართული წერისა და მეტყველების უნარი;
დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის კარგ დონეზე ცოდნა.

მუხლი 5. მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი მუხლით გათვალისწინებული საკითხების ცოდნისა, პირს მოეთხოვება:
ა) უმაღლესი განათლება (სასურველია, სამუშაოს აღწერილობით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში);
ბ) მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;
გ) გამართული წერისა და მეტყველების უნარი;
დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის კარგ დონეზე ცოდნა.

მუხლი 6. მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წამყვანი სპეციალისტის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წამყვანი სპეციალისტის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი მუხლით გათვალისწინებული საკითხების ცოდნისა, პირს მოეთხოვება:
ა) უმაღლესი, ან საშუალო სპეციალური განათლება;
ბ) გამართული წერისა და მეტყველების უნარი;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის კარგ დონეზე ცოდნა.

მუხლი 7. მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის უფროსი სპეციალისტის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის უფროსი სპეციალისტის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი მუხლით გათვალისწინებული საკითხების ცოდნისა, პირს მოეთხოვება:

ა) საშუალო, ან საშუალო სპეციალური განათლება;

ბ) გამართული წერისა და მეტყველების უნარი;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

მუხლი 8. მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპეციალისტის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპეციალისტის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი მუხლით გათვალისწინებული საკითხების ცოდნისა, პირს მოეთხოვება:

ა) საშუალო, ან საშუალო სპეციალური განათლება;

ბ) გამართული წერისა და მეტყველების უნარი;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

თავი II
სპეციალური მოთხოვნები

მუხლი 9. მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურში საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, ფუნქციური მოვალეობებიდან გამომდინარე, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი და მე-3-მე-8 მუხლებით შესაბამისი თანამდებობისთვის გათვალისწინებული მოთხოვნებისა, პირს დამატებით მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება;

ბ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილება;

გ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №16 დადგენილება.

2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებაში საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, ფუნქციური მოვალეობებიდან გამომდინარე, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა, პირს დამატებით მოეთხოვება;

ა) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა.ა) საქართველოს კანონი „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“;

ა.ბ) „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის №174 ბრძანება;

ბ) სასურველია ელექტრონული საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის (პროგრამის) მეშვეობით საქმისწარმოების (დოკუმენტის მიღება, დოკუმენტის შედგენა/გადაგზავნა) გამოცდილება.

3. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილებაში საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, ფუნქციური მოვალეობებიდან გამომდინარე, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა:

ა) პირს, რომელიც იკავებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში მოხელის თანამდებობას, დამატებით მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა.ა) საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;

ა.ბ) „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება;

ბ) პირს, რომელიც იკავებს საზოგადოებასთან ან/და მედიასთან და საინფორმაციო უზრუნველყოფის საკითხებში მოხელის თანამდებობას, დამატებით მოეთხოვება:

ბ.ა) კომუნიკაბელობა;

ბ.ბ) შეხვედრებისა და მოლაპარაკებების წარმოების უნარი;
ბ.გ) საინფორმაციო ტექნოლოგიების ძალიან კარგად ფლობის უნარი;
ბ.დ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:
ბ.დ.ა) საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“;
ბ.დ.ბ) საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“;
გ) პირს, რომელიც იკავებს საინფორმაციო ტექნოლოგიებით მომსახურების საკითხებში მოხელის თანამდებობას, დამატებით მოეთხოვება კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფისთვის საჭირო განათლება, ან საინფორმაციო ტექნოლოგიების კარგად ფლობის უნარი.
4. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებაში საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, ფუნქციური მოვალეობებიდან გამომდინარე, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა, პირს დამატებით მოეთხოვება:
ა) უმაღლესი იურიდიული განათლება (იურიდიული/სამართალმცოდნეობა);
ბ) მოთხოვნილი სამუშაო გამოცდილებიდან - სასურველია სპეციალობის მიხედვით მუშაობის გამოცდილება;
გ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:
გ.ა) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
გ.ბ) საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
გ.გ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“.

მუხლი 10. მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, ფუნქციური მოვალეობებიდან გამომდინარე, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი, მე-3 და მე-5-მე-8 მუხლებით შესაბამისი თანამდებობისთვის გათვალისწინებული მოთხოვნებისა, პირს დამატებით მოეთხოვება:
ა) უმაღლესი, ან საშუალო სპეციალური განათლება (ამ მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებში მითითებული, შესაბამისი თანამდებობისთვის განსაზღვრული კვალიფიკაციით);
ბ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:
ბ.ა) საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
ბ.ბ) საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“;
ბ.გ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილება;
ბ.დ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №17 დადგენილება.
2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილებაში საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, ფუნქციური მოვალეობებიდან გამომდინარე, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა, პირს დამატებით მოეთხოვება:
ა) უმაღლესი, ან საშუალო სპეციალური განათლება (შესაბამისი რანგისთვის დადგენილი მოთხოვნის გათვალისწინებით) ფინანსისტის, ეკონომისტის, ბუღალტრის სპეციალობით;
ბ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:
ბ.ა) „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება;
ბ.ბ) „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანება.
3. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საფინანსო ზედამხედველობისა და ბუღალტერიის განყოფილებაში საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, ფუნქციური მოვალეობებიდან გამომდინარე, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა, პირს დამატებით მოეთხოვება:
ა) უმაღლესი, ან საშუალო სპეციალური განათლება (შესაბამისი რანგისთვის დადგენილი მოთხოვნის გათვალისწინებით) ფინანსისტის, ეკონომისტის, ბუღალტრის სპეციალობით;
ბ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:
ბ.ა) „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება;
ბ.ბ) „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება;
ბ.გ) „აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების შესრულების ანგარიშგების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 15 აპრილის №241 ბრძანება;
ბ.დ) ,,საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის

ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

4. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილებაში საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, ფუნქციური მოვალეობებიდან გამომდინარე, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა, პირს დამატებით მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება (შესაბამისი რანგისთვის დადგენილი მოთხოვნის გათვალისწინებით) იურისტის, ფინანსისტის, ეკონომისტის, ბუღალტრის სპეციალობით;

ბ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ბ.ა) საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;

ბ.ბ) „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება;

ბ.გ) „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანება.

მუხლი 11. მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურში საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, ფუნქციური მოვალეობებიდან გამომდინარე, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი, მე-3 და მე-5-მე-8 მუხლებით შესაბამისი თანამდებობისთვის გათვალისწინებული მოთხოვნებისა, პირს დამატებით მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება (უმაღლესი განათლების მოთხოვნის შემთხვევაში) - სასურველია ეკონომიკური განათლება, ან სამუშაოს აღწერილობით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში;

ბ) მოთხოვნილი სამუშაო გამოცდილებიდან - სასურველია სპეციალობის მიხედვით მუშაობის, ან სამუშაოს აღწერილობის შესაბამის სფეროში საქმიანობის გამოცდილება;

გ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

გ.ა) საქართველოს კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“;

გ.ბ) საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;

გ.გ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილება;

გ.დ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №18 დადგენილება;

2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის მუნიციპალური პროგრამების მართვის, სტატისტიკური აღრიცხვისა და ტრანსპორტის რეგულირების განყოფილებაში საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, ფუნქციური მოვალეობებიდან გამომდინარე, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა, პირს დამატებით მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N172 განკარგულება;

ბ) „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის 2011-2014 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 ოქტომბრის N2023 განკარგულება;

გ) „სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 18 სექტემბრის N1372 განკარგულება.

3. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილებაში საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, ფუნქციური მოვალეობებიდან გამომდინარე, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა, პირს დამატებით მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;

ბ) საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“;

გ) საქართველოს კანონი „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“;

დ) საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;

ე) საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“.

მუხლი 12. მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა

და არქიტექტურის სამსახურში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურში საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, ფუნქციური მოვალეობებიდან გამომდინარე, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი, მე-3 და მე-5-მე-8 მუხლებით შესაბამისი თანამდებობისთვის გათვალისწინებული მოთხოვნებისა, პირს დამატებით მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება (ამ მუხლის მე-2-მე-3 პუნქტებში მითითებული, შესაბამისი თანამდებობისთვის განსაზღვრული კვალიფიკაციით);

ბ) მოთხოვნილი სამუშაო გამოცდილებიდან - სასურველია სპეციალობის მიხედვით მუშაობის, ან სამუშაოს აღწერილობის შესაბამის სფეროში საქმიანობის გამოცდილება;

გ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

გ.ა) საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“;

გ.ბ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილება;

გ.გ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №19 დადგენილება.

2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის განყოფილებაში საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, ფუნქციური მოვალეობებიდან გამომდინარე, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა, პირს დამატებით მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება არქიტექტურის, ინჟინერიის, მშენებლობის ან სამუშაოს აღწერილობით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში;

ბ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ბ.ა) საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“;

ბ.ბ) „მშენებლობის ნებართვების გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება;

ბ.გ) „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილება.

3. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ზედამხედველობის განყოფილებაში საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, ფუნქციური მოვალეობებიდან გამომდინარე, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა:

ა) პირს, რომელიც იკავებს არქიტექტურულ ან/და სამშენებლო ზედამხედველობის საკითხებში მოხელის თანამდებობას, დამატებით მოეთხოვება:

ა.ა) უმაღლესი განათლება არქიტექტურის, ინჟინერიის, მშენებლობის, ან სამუშაოს აღწერილობით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში;

ა.ბ) მოთხოვნილი სამუშაო გამოცდილებიდან - სასურველია სპეციალობის მიხედვით მუშაობის, ან სამუშაოს აღწერილობის შესაბამის სფეროში საქმიანობის გამოცდილება;

ა.გ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა.გ.ა) საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“;

ა.გ.ბ) საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“;

ა.გ.გ) „მშენებლობის ნებართვების გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება;

ა.გ.დ) „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილება;

ბ) პირს, რომელიც იკავებს გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების სარგებლობისა ან/და საზოგადოებრივი მომსახურების ობიექტებზე ზედამხედველობის საკითხებში მოხელის თანამდებობას, დამატებით მოეთხოვება:

ბ.ა) უმაღლესი განათლება (სასურველია, სამუშაოს აღწერილობით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში);

ბ.ბ) მოთხოვნილი სამუშაო გამოცდილებიდან - სასურველია სპეციალობის მიხედვით მუშაობის, ან სამუშაოს აღწერილობის შესაბამის სფეროში საქმიანობის გამოცდილება;

ბ.გ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ბ.გ.ა) საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“;

ბ.გ.ბ) საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“;

მუხლი 13. მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების

სამსახურში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურში საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, ფუნქციური მოვალეობებიდან გამომდინარე, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი, მე-3 და მე-5-მე-8 მუხლებით შესაბამისი თანამდებობისთვის გათვალისწინებული მოთხოვნებისა, პირს დამატებით მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება (უმაღლესი განათლების მოთხოვნის შემთხვევაში) - სასურველია აგრარულ ან სამუშაოს აღწერილობით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში;

ბ) მოთხოვნილი სამუშაო გამოცდილებიდან - სასურველია სპეციალობის მიხედვით მუშაობის, ან სამუშაოს აღწერილობის შესაბამის სფეროში საქმიანობის გამოცდილება;

გ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

გ.ა) საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“;

გ.ბ) საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“;

გ.გ) საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“;

გ.დ) საქართველოს კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“;

გ.ე) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილება;

გ.ვ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №20 დადგენილება.

მუხლი 14. მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, ფუნქციური მოვალეობებიდან გამომდინარე, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი, მე-3 და მე-5-მე-8 მუხლებით შესაბამისი თანამდებობისთვის გათვალისწინებული მოთხოვნებისა, პირს დამატებით მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება (უმაღლესი განათლების მოთხოვნის შემთხვევაში) - სასურველია, სამუშაოს აღწერილობით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ (პედაგოგიური, განათლების მართვა, სახელოვნებო, კულტურის, სპორტის, ისტორიული, არქეოლოგიური) სფეროში;

ბ) მოთხოვნილი სამუშაო გამოცდილებიდან - სასურველია სპეციალობის მიხედვით მუშაობის, ან სამუშაოს აღწერილობის შესაბამის სფეროში საქმიანობის გამოცდილება;

გ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა (დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისად, სფეროს მიხედვით):

გ.ა) საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“;

გ.ბ) საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“;

გ.გ) საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“;

გ.დ) საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“;

გ.ე) საქართველოს კანონი „ტურიზმის და კურორტების შესახებ“;

გ.ვ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილება;

გ.ზ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №21 დადგენილება.

მუხლი 15. მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურში საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, ფუნქციური მოვალეობებიდან გამომდინარე, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი, მე-3 და მე-5-მე-8 მუხლებით შესაბამისი თანამდებობისთვის გათვალისწინებული მოთხოვნებისა, პირს დამატებით მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება (უმაღლესი განათლების მოთხოვნის შემთხვევაში) - სასურველია, სამუშაოს აღწერილობით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ (სამედიცინო, საბუნებისმეტყველო ან სოციალური მეცნიერებების სპეციალიზაციით) სფეროში;

ბ) მოთხოვნილი სამუშაო გამოცდილებიდან - სასურველია სპეციალობის მიხედვით მუშაობის, ან სამუშაოს აღწერილობის შესაბამის სფეროში საქმიანობის გამოცდილება;

გ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა (დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისად, სფეროს მიხედვით):

გ.ა) საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“;
გ.ბ) საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“;
გ.გ) საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“;
გ.დ) საქართველოს კანონი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“;
გ.ე) საქართველოს კანონი „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“;
გ.ვ) საქართველოს კანონი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“;
გ.ზ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №3 დადგენილება;
გ.თ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №22 დადგენილება.

მუხლი 16. მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურში საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, ფუნქციური მოვალეობებიდან გამომდინარე, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი, მე-3 და მე-5-მე-8 მუხლებით შესაბამისი თანამდებობისთვის გათვალისწინებული მოთხოვნებისა, პირს დამატებით მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:
ა) საქართველოს კანონი „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“;
ბ) საქართველოს კანონი „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“;
გ) საქართველოს კანონი „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“;
დ) „მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 იანვრის №11 ბრძანებულება;
ე) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილება;
ვ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №23 დადგენილება.

მუხლი 17. მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურში საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, ფუნქციური მოვალეობებიდან გამომდინარე, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი, მე-3 და მე-5-მე-8 მუხლებით შესაბამისი თანამდებობისთვის გათვალისწინებული მოთხოვნებისა, პირს დამატებით მოეთხოვება:
ა) უმაღლესი განათლება იურიდიული, ეკონომიკური, საბუღალტრო აღრიცხვის, ან/და ფინანსების სპეციალობით;
ბ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:
ბ.ა) საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
ბ.ბ) საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“;
ბ.გ) საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“;
ბ.დ) საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
ბ.ე) საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
ბ.ვ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილება;
ბ.ზ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №25 დადგენილება.

დანართი 2

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

თავი I

ზოგადი მოთხოვნები

მუხლი 1. სავალდებულო მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო

თანამდებობათა დასაკავებლად

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად პირს მოეთხოვება „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის ტესტირების ეტაპების ჩატარების მეთოდიკის, თემატიკისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2014 წლის 10 სექტემბრის №73/სა ბრძანებით ტესტირებისთვის გათვალისწინებული შემდეგი თემატიკის სამართლებრივი აქტებისა და საკითხების ცოდნა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

გ) ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“;

დ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

ე) საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;

ვ) უნარ-ჩვევები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თემატიკით ჩასატარებელი ტესტირების ფარგლებში, ტესტირების ეტაპის მინიმალური გამსვლელი ზღვარი პირისთვის დადგენილია არანაკლებ 52%-ის ოდენობით (32 სწორი პასუხი 60 ტესტური დავალებიდან).

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად პირს ასევე მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილება;

ბ) „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N13 დადგენილება.

მუხლი 2. მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი მუხლით გათვალისწინებული საკითხების ცოდნისა, პირს მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება (სასურველია, საპასუხისმგებლო თანამდებობაზე);

გ) გამართული წერისა და მეტყველების უნარი;

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის კარგ დონეზე ცოდნა.

მუხლი 3. მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის განყოფილების უფროსის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის განყოფილების უფროსის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი მუხლით გათვალისწინებული საკითხების ცოდნისა, პირს მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება (სასურველია, ხელმძღვანელ (საპასუხისმგებლო) თანამდებობაზე);

გ) გამართული წერისა და მეტყველების უნარი;

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის კარგ დონეზე ცოდნა.

მუხლი 4. მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი მუხლით გათვალისწინებული საკითხების ცოდნისა, პირს მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) საჯარო სამსახურში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;

გ) გამართული წერისა და მეტყველების უნარი;

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის კარგ დონეზე ცოდნა.

მუხლი 5. მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტის საჯარო

თანამდებობის დასაკავებლად

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი მუხლით გათვალისწინებული საკითხების ცოდნისა, პირს მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება (სასურველია, სამუშაოს აღწერილობით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში);

ბ) მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

გ) გამართული წერისა და მეტყველების უნარი;

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის კარგ დონეზე ცოდნა.

მუხლი 6. მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის წამყვანი სპეციალისტის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის წამყვანი სპეციალისტის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი მუხლით გათვალისწინებული საკითხების ცოდნისა, პირს მოეთხოვება:

ა) უმაღლესი, ან საშუალო სპეციალური განათლება;

ბ) გამართული წერისა და მეტყველების უნარი;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის კარგ დონეზე ცოდნა.

მუხლი 7. მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი მუხლით გათვალისწინებული საკითხების ცოდნისა, პირს მოეთხოვება:

ა) საშუალო, ან საშუალო სპეციალური განათლება;

ბ) გამართული წერისა და მეტყველების უნარი;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

თავი II
სპეციალური მოთხოვნები

მუხლი 8. მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილებაში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილებაში საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, ფუნქციური მოვალეობებიდან გამომდინარე, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი, მე-3 და მე-5-მე-6 მუხლებით შესაბამისი თანამდებობისთვის გათვალისწინებული მოთხოვნებისა:

ა) პირს, რომელიც იკავებს საზოგადოებასთან ან/და მედიასთან და საინფორმაციო უზრუნველყოფის საკითხებში მოხელის თანამდებობას, დამატებით მოეთხოვება:

ა.ა) კომუნიკაბელობა;

ა.ბ) შეხვედრებისა და მოლაპარაკებების წარმოების უნარი;

ა.გ) საინფორმაციო ტექნოლოგიების ძალიან კარგად ფლობის უნარი;

ა.დ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა.დ.ა) საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“;

ა.დ.ბ) საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“.

ბ) პირს, რომელიც იკავებს საინფორმაციო ტექნოლოგიებით მომსახურების საკითხებში მოხელის თანამდებობას, დამატებით მოეთხოვება კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფისთვის საჭირო განათლება, ან საინფორმაციო ტექნოლოგიების კარგად ფლობის უნარი;

მუხლი 9. მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილებაში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილებაში საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, ფუნქციური მოვალეობებიდან გამომდინარე, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი, მე-3 და მე-5-მე-6 მუხლებით შესაბამისი თანამდებობისთვის გათვალისწინებული მოთხოვნებისა:

ა) პირს, რომელიც იკავებს იურიდიულ საკითხებში მოხელის თანამდებობას, დამატებით მოეთხოვება:

ა.ა) უმაღლესი იურიდიული განათლება (იურიდიული/სამართალმცოდნეობა);

ა.ბ) მოთხოვნილი სამუშაო გამოცდილებიდან - სასურველია სპეციალობის მიხედვით მუშაობის გამოცდილება;
ა.გ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:
ა.გ.ა) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
ა.გ.ბ) საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
ა.გ.გ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;
ა.გ.დ) „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება;
ბ) პირს, რომელიც იკავებს საქმისწარმოების საკითხებში მოხელის თანამდებობას, დამატებით მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:
ბ.ა) საქართველოს კანონი „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“;
ბ.ბ) „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება;
ბ.გ) „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის №174 ბრძანება;
ბ.დ) სასურველია ელექტრონული საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის (პროგრამის) მეშვეობით საქმისწარმოების (დოკუმენტის მიღება, დოკუმენტის შედგენა/გადაგზავნა) გამოცდილება.